ხელშეკრულება № 171
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ .გორი 20 ნოემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე რუსუდან კვირკველიას (ს.კ 61004003661) (შემდგომში „მიმწოდებელი”) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სასადილოებისა და საზოგადოებრივი საწარმოების მომსახურების (CPV55500000) შესყიდვა.

2 *შესყიდვის ობიექტია*

2.1.შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი”ს გუნდის 22 კაციანი შემადგენლობის კვებითი მომსახურება (2017 წლის 21 ნოემბერს ერთჯერადი კვება 12[30] საათზე).კვება გუნდის ექიმის მიერ წინასწარ შედგენილი მენიუს მიხედვით. მენიუ თან ერთვის დანართი 1 –ის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

3.2. გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 254.10 (ორასორმოცდათოთხმეტი ლარი და ათი თეთრი)ლარი.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის და მომსახურების ჩათვლით.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 22 ნოემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი სამეფოს 60.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდწბლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.3. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.გურამიშვილის 5.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

9.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
9.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;
12.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

131. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"ს გუნდის ექიმი ალექსანდრე დოლუაშვილი

15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი- სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი- TRESGE22
ს/კ 417874973

დირექტორი: გ.ისიანი

„მიმწოდებელი"

ინდ.მეწარმე რუსუდან კვირკველია
მისამართი: გორი სამეფოს 60.
საბანკო რეკვიზიტები: „თიბისი ბანკი"
ბ/კ TBGEGE22
ანგ. GE42TB7219345066300002
ს/კ 61004003661

ი.მ. რუსუდან კვირკველია

მენიუ

დანართი 1

21 ნოემბერი

კვება რომელიც მოიცავს 1(ერთ) ადამიანზე

საქონლის ხორცის წვნიანი (მოხარშული ხორცი 150 გრ. მზა მდგომარეობაში)
კარტოფილის პიურე 150 გრ.
ბოსტნეულის სალათი 100 გრ.
პური 150 გრ.
ხილის წვენი ნატურალური
ქარხნული წყალი
ყველი 100 გრ.
ხილი

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი”

„მიმწოდებელი“

ინდ.მეწარმე რუსუდან კვირკვრლია

ინდ.მეწარმე რუსუდან კვირკვრლია

დირექტორი: გ.ისიანი

გუნდის ექიმი ა.დოლუაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. გორი , 20 ნოემბერი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ კვებითი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება, ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ი.მ. რუსუდან კვირკველიასთან (ს.კ.61004003661) ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს
დირექტორი — გია ისიანი

გუნდის ექიმი — ალეკო დოლუაშვილი

შესყიდვების მენეჯერი — სვეტლანა ზაუტაშვილი